მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

თარიღი:	2020 წლის 14 აგვისტო
სესხის ნომერი:	Loan 53118-001-GEO: „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი რეგიონული განვითარებისთვის“.
კონტრექტის ნომერი და დასახელება:	LCIP/CW/02-2020; ქ. ქუთაისში ოლიმპიური საცურაო აუზის მშენებლობა
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო დღე:	2020 წლის 25 სექტემბერი 12:00 საათი (თბილისის დროით)

1. საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (the Asian Development Bank) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი რეგიონული განვითარებისთვის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნება ზემოთხსენებული კონტრაქტის განსხორციელებლად. ტენდერი ღიაა მხოლოდ იმ მონაწილეთათვის, რომლებიც წარმოდგენილია აზიის განვითარების ბანკის (ADB) წევრი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) (შემდგომში „დამკვეთი“) იწვევს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად უფლებამოსილ მონაწილეებს ტენდერისთვის - ქ. ქუთაისში ოლიმპიური საცურაო აუზის მშენებლობა. სამუშაოები მოიცავს ოლიმპიური აუზის მშენებლობას, ტერიტორიის კეთილმოწყობას, პარკინგს, წყალმომარაგება-კანალიზაციის, ელექტრო სამუშაოებს.

3. ღია საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება ADB-ს ერთეტაპიანი, ერთ კონვერტიანი პროცედურის შესაბამისად, და ღიაა ყველა იმ მონაწილესათვის, რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტში.

4. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ უფლებამოსილმა მონაწილეებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდგომ ძირითად საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

ა) მშენებლობის საშუალო წლიური ბრუნვა: 11,5 მილიონი ლარი მშენებლობის საშუალო წლიური ბრუნვის მინიმუმი, რომელიც იანგარიშება ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტებისთვის მიღებული დამოწმებული გადახდების საერთო რაოდენობის მიხედვით.

ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ან არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მინიმუმ 1,500,000.00 ლარის ოდენობით;

გ) კონკურსანტს ბოლო 5 წლის განმავლობაში (როგორც კონტარქტორს, სუბ-კონტარქტორს, ან ერთობლივი საწარმოს პარტნიორს) წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული სულ მცირე ერთი (1) მსგავსი სახის სამუშაოების კონტრაქტი არანაკლებ 7,000,000.00 ლარის ღირებულებით. მსგავს სამუშაოებად ჩაითვლება 1 კონტარქტის ფარგლებში შესრულებული: 1) საზოგადოებრივი შენობის მშენებლობა ან ინსტიტუციური შენობის მშენებლობა და 2)

წყალმომარაგება, დრენაჟი, ხანძარსაწინააღმდეგო და გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირების სამუშაოები.

5. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო წინადადებების სანახავად, ასევე საკონკურსო წინადადებების წარსადგენად მონაწილე კომპანიამ უნდა ისარგებლოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით: http://procurement.gov.ge/

6. სატენდერო დოკუმენტები ინგლისურ ენაზე ხელოსაწვდომია ჩამოსატვირთად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში 2020 წლის 14 აგვისტოდან 2020 წლის 25 სექტემბრამდე 12:00, თბილისისს დროით (დამატებითი გადასახადის გარეშე).

7. წარმოადგინეთ თქვენი სატენდერო წინადადებები:

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით 2020 წლის 25 სექტემბრამდე 12:00, თბილისისს დროით;
- სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარიაციასთან ერთად;
- მონაწილემ საკონკურსო წინადადების ფასი უნდა დააფიქსიროს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წინადადება იქნება უარყოფილი.

ტენდერი გაიხსნება ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით 2020 წლის 25 სექტემბერს 12:00, თბილისის დროით.